სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისთვის

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე ცხადდება შიდა მობილობა

- ელექტრული ინჟინერია - 1 ადგილი;
- კომპიუტერული ინჟინერია - 1 ადგილი;
- ქიმია - ბიოქიმია - 1 ადგილი.

შიდა მობილობა შესაძლებელია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის პროგრამებზე და ასევე სხვა მიმართულებებზე შემდეგი წინაპირობების დაცვით:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროგრამებზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდა ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.

ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება მიმდინარე პროგრამაზე და საშუალო წლიური შეწონილი ქულა (GPA) არის 2.5 და მეტი;

გ) მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას და შეუძლიათ წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელიმე საბუთი:

- ერთიანი ეროვნული გამოცდის ქულა ინგლისურ ენაში: 59%+1;
- TOEFL - მინიმალურიქულა: IBT 70, PBT 523;
- IELTS - მინიმალურიქულა 6.0;
- ინგლისურ ენაში B2 და მეტი ცოდნის დონის დამადასტურებელი სხვა სერტიფიკატი.

დ) სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, შიდა მობილობით გადასულ სტუდენტებს უღიარდებათ გავლილი პროგრამიდან მაქსიმუმ 30 კრედიტი.

ე) სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბალაკავრო პროგრამებზე, შიდა მობილობით პროგრამაზე გადასულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ გამოცდა მათემატიკაში (ინგლისურენაზე) და ინგლისურ ენაში ცოდნის დონის დადგენისა და შესაბამის ჯგუფში განაწილების მიზნით.

ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ

ზ) სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე, სწავლის ერთი წლის ღირებულებაა 7500 (შვიდიათასხუთასი) დოლარის ექვივალენტი ლარებში, შიდა მობილობით გადასულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ნაწილობრივი

თანადაფინანსება 50 პროცენტამდე, ხოლო ამ ბრძანების მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს სრული -100 პროცენტიანი ან ნაწილობრივი (75%, 50%, 25%) თანადაფინანსება.